

შპს ჯიარ ტრანზიტი

2017 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს KPMG Georgia

ჯი ემ თი პლაზა

მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4

თბილისი, საქართველო 0105

ტელეფონი +995 322 93 5713

ინტერნეტი www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ჯიარ ტრანზიტ-ის აქციონერებს.

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯიარ ტრანზიტის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღებით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

ხელმძღვანელობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „ხელმძღვანელობის ანგარიშზე“. ეს უკანასკნელი ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს და ჩვენ არანაირი ფორმით არ გავცემთ მასთან დაკავშირებულ დასკვნას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშის გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

მას შემდეგ, რაც ჩვენ გავცნობით ხელმძღვანელობის ანგარიშს, ჩვენ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ვასკვნით:

– შეესაბამება თუ არა ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა ის არსებით

უზუსტობებს;

- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილების მქონე პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და

განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნიტ, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნიტ, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ენდრიუ კოქსშელი

/ხელმოწერილია და დამოწმებულია ბეჭდით/

შპს KPMG Georgia
2018 წლის 10 ივლისი

'000 ლარი	შენიშვნა	2017	2016
აქტივები			
ძირითადი საშუალებები		96	110
სულ გრძელვადიანი აქტივები		96	110
მიმდინარე აქტივები			
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები		2,296	4,400
სავაჭრო მოთხოვნები			
(დებიტორული დავალიანებები)	13	23,576	6,708
სხვა აქტივები		183	189
შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთი	14	15,555	10,590
ფული და ფულის ექვივალენტები	10	383	2,700
სულ მიმდინარე აქტივები		41,993	24,587
სულ აქტივები		42,089	24,697
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4,115	9,631
გადაუხდელი კაპიტალი		-	(5,516)
გაუნაწილებელი მოგება		35,926	9,909
სულ კაპიტალი	11	40,041	14,024
ვალდებულებები			
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		2,048	4,990
სესხები და კრედიტები	16	-	4,810
სხვა ვალდებულებები		-	468
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		-	405
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,048	10,673
სულ ვალდებულებები		2,048	10,673
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		42,089	24,697

'000 ლარი	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	5	104,298	104,140
საოპერაციო ხარჯები	6	(70,170)	(93,180)
თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯები		(2,256)	(1,995)
სხვა შემოსავალი		339	210
სხვა ხარჯები	7	(1,648)	(1,504)
შედეგები საოპერაციო საქმიანობებიდან		30,563	7,671
ფინანსური შემოსავალი		38	772
ფინანსური ხარჯი		(4,584)	(266)
წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი	8	(4,546)	506
მოგება დაბეგვრამდე		26,017	8,177
მოგების გადასახადის ხარჯი	9	-	(1,277)
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		26,017	6,900

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 10 ივლისს და ხელმოწერილია მათი სახელით:

_____/ხელმოწერილია/

დავით ჩირაძე
გენერალური დირექტორი

_____/ხელმოწერილია/

იანა ალუღიშვილი
მთავარი ბუღალტერი

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	გადაუხდელი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	9,516	(5,516)	3,009	7,009
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში				
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	6,900	6,900
ოპერაციები მფლობელებთან, აღრიცხული პირდაპირ კაპიტალში,				
საწესდებო კაპიტალის ზრდა	115	-	-	115
სულ ოპერაციები მფლობელებთან, აღრიცხული პირდაპირ კაპიტალში,	115	-	-	115
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	9,631	(5,516)	9,909	14,024
 ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	 9,631	 (5,516)	 9,909	 14,024
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში				
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	26,017	26,017
ოპერაციები მფლობელებთან, აღრიცხული პირდაპირ კაპიტალში,				
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(5,516)	5,516	-	-
სულ ოპერაციები მფლობელებთან, აღრიცხული პირდაპირ კაპიტალში	(5,516)	5,516	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	4,115	-	35,926	40,041

'000 ლარი	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მოგება დაბეგვრამდე		26,017	8,177
კორექტირებები:			
წმინდა ფინანსური (მოგება)/ზარჯი		4,546	(506)
ცვთა		32	10
		30,595	7,681
ცვლილებები:			
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები		2,104	(154)
სავაჭრო მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები)		(20,128)	(5,784)
სხვა აქტივები და ვალდებულებები		(462)	149
შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთი		(5,293)	(9,329)
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		(2,942)	4,084
ფულადი ნაკადები /(გამოყენებული) ოპერაციებიდან დაბეგვრამდე და პროცენტის გადახდამდე		3,874	(3,253)
გადახდილი მოგების გადასახადი		(405)	(1,404)
მიღებული პროცენტი		38	62
წმინდა ფულადი ნაკადები/(გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან		3,507	(4,595)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შემენა		(18)	-
საინვესტიციო საქმიანობებზე გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(18)	-
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
შემოსავლები საწესდებო კაპიტალის ზრდიდან		-	2,000
შემოსავლები სესხებიდან		-	3,928
სესხის ძირი თანხის დაფარვა		(4,871)	-
გადახდილი პროცენტი		(451)	(225)
წმინდა ფულადი ნაკადები /(გამოყენებული) ფინანსური საქმიანობებიდან		(5,322)	5,703
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(1,833)	1,108
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვარს		2,700	834
სავალუტო კურსის რყევების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(484)	758
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბერს	10	383	2,700

1. საანგარიშგებო ორგანიზაცია

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე კომპანიაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც განვითარებადი ბაზრების მახასიათებლები აქვთ. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები მუდმივად ვითარდება, თუმცა ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა სამართლებრივ და ფინანსურ დაბრკოლებებთან ერთად ხელს უწყობს იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დგას საქართველოში მოქმედი ორგანიზაციები. ფინანსური ანგარიშგებები ასახავს კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს GR Transit (“კომპანია”) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. კომპანია დაფუძნდა 2015 წლის 17 სექტემბერს.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0112, თამარ მეფის გამზირი N 15, კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 402020022.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურებების გაწევა საქართველოს ტერიტორიაზე თხევადი ტვირთის სარკინიგზო ტრანსპორტირების ფარგლებში, გარდაბნის რკინიგზის სადგურიდან ბათუმის, ფოთის და ფართო წყალის („ყულევი“) რკინიგზის სადგურების მიმართულებით, სათანადო სარკინიგზო მომსახურებასთან ერთად.

კომპანიის სრული მფლობელია სს საქართველოს რკინიგზა („მშობელი კომპანია“), რომელიც თავის მხრივ მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის, სს საპარტნიორო ფონდის საკუთრებაშია. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები მოცემულია 16-ე შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

3. ფუნქციონალური და წარმომადგენლობითი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ლარი (ლარი), რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები.

ლარში წარმოდგენილია ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

4. შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგებების “ფასს”-ის შესაბამისად მომზადებისთვის, ხელმძღვანელობამ უნდა გააკეთოს ისეთი შეფასებები, მსჯელობები და დაშვებები, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც ასეთი ცვლილებები გავლენას მოახდენენ.

ხელმძღვანელობას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ გაუკეთებია ისეთი კრიტიკული შეფასებები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ თანხებზე.

ინფორმაცია დაშვებების ან შეფასებების გაურკვევლობების შესახებ, რომლებსაც გააჩნიათ მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი კორექტირების არსებითი რისკი, მოცემულია 13 შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებები მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა განმარტების მიზნებისათვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შემდეგისდაგვარად იყენებს საბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულებები იყოფა სხვადასხვა დონების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე:

- *დონე 1:* კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2:* მონაცემები, პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასების გარდა, რომლებიც მოიპოვება აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებით, პირდაპირ (ე.ი. ფასები), ან ირიბად (ე.ი. ფასებისაგან წარმოებული).
- *დონე 3:* მონაცემები იმ აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება არსებულ საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი იქნება აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება მთლიანობაში მოხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია წარმოდგენილი, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულებების შეფასებაში გაკეთებული დაშვებების შესახებ მოცემულია მე-14(ა) შენიშვნაში – ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. შემოსავალი

'000 ლარი	2017	2016
ტვირთების გადაზიდვა*	104,298	104,045
სხვა	-	95
	104,298	104,140

* 2017 წლის 28 სექტემბერს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება მოცულობის მიუხედავად ტვირთის ფიქსირებული ტარიფით ტრანსპორტირების შესახებ (Ship-or-Pay Agreement - SoP) შპს United Petroleum Trading- თან (UPT), რომლის მიხედვითაც UPT- ს უნდა მოეხდინა მინიმუმ 1,200,000 ტონა ნედლი ნავთობის, ნავთობისა და გაზის კონდენსატის (ტვირთის) ტრანსპორტირება 2017 წლის ბოლომდე, მშობელი კომპანიის სარკინიგზო ინფრასტრუქტურის გამოყენებით. 26,440 ათასი ლარი შედის 2017 წლის განმავლობაში ტვირთის ტრანსპორტირებიდან მიღებულ შემოსავალში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ტვირთის გადაზიდვა არ განხორციელებულა 2017 წლის განმავლობაში, თუმცა, SoP-ის პირობების თანახმად, სატრანსპორტო მომსახურების საფასური მაინც ექვემდებარება გადახდას, ფაქტობრივად ტრანსპორტირებული ტვირთის მინიმალური რაოდენობის მიუხედავად (იხ. შენიშვნა 13).

6. საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2017	2016
ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯები	63,877	83,264
სადგურთან დაკავშირებული ხარჯები	6,293	9,916
	70,170	93,180

7. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2017	2016
საბანკო გარანტიის ხარჯები	398	620
საიჯარო ხარჯი	310	286
კომუნალური მომსახურების ხარჯი	290	188
სარეკლამო ხარჯები	139	105
სხვა	511	305
	1,648	1,504

8. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2017	2016
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი	38	62
წმინდა შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	-	710
ფინანსური შემოსავალი	38	772
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე (შენიშვნა 13)	(4,114)	-
საპროცენტო ხარჯი	(408)	(266)
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	(62)	-
ფინანსური ხარჯები	(4,584)	(266)
წმინდა ფინანსური შემოსავალი, აღიარებული მოგებაში ან ზარალში	(4,546)	506

9. მოგების გადასახადის ხარჯი

კომპანიის მოქმედი მოგების საგადასახადო განაკვეთი შეადგენს 15%-ს, რომელიც უახლოვდება კომპანიის ეფექტურ საგადასახადო განაკვეთს.

'000 ლარი	2017	2016
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	-	1,277
	-	1,277

არ არის წარმოდგენილი არ-აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები, ან გადასახადები აღიარებული პირდაპირ კაპიტალში.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდისთვის ყველა საწარმოს მიმართ, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთა მიმართაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

10. ფული და ფულის ექვივალენტები

'000 ლარი	2017	2016
საბანკო ნაშთები	383	2,700
ფული და ფულის ექვივალენტები ფინანსური მდგომარეობის და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებში	383	2,700

ფული და ფულის ექვივალენტები ძირითადად განთავსებულია საქართველოს ბანკებში, რომელთა ემიტენტის დეფოლტის მოკლევადიანი რეიტინგი სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მიხედვით არის B. კომპანია თვლის, რომ კონტრაგენტი შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

11. კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ოდენობას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში.

(ბ) გადაუხდელი კაპიტალი

გადაუხდელი კაპიტალი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს სხვაობას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში აღრიცხული თავდაპირველად განსაზღვრული კაპიტალის ნომინალურ ოდენობას და იმ ოდენობას შორის, რომლის მიღებას მოელის კომპანია მშობელი კომპანიიდან. 2017 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი შემცირდა მშობელი კომპანიის გადაწყვეტილების შესაბამისად.

(გ) დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდები და გააჩნიათ კომპანიის კრებებზე ხმის მიცემის უფლებები კომპანიაში საკუთრების პროცენტული წილის შესაბამისად.

12. კაპიტალის მართვა

კომპანიის არ გააჩნია კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს სათანადო კაპიტალის ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასევე ბაზრის მონაწილეების ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა კომპანიის შემოსავლების და მოგების უწყვეტი მონიტორინგით და ფულადი სახსრების ეფექტური მართვის გზით.

კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ მოთხოვნებს კაპიტალთან დაკავშირებით.

13. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

'000 ლარი	2017	2016
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები *	27,690	6,708
გაუფასურების რეზერვი სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებზე *	(4,114)	-
	23,576	6,708

* სავაჭრო დებიტორული დავალიანებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს დავალიანებას უცხოური კომპანიიდან (იხილეთ შენიშვნა 5), რომელიც შეადგენს 21,256 ათას ლარს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და იმ თარიღისთვის, როდესაც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა ნებადართული იქნა, ზემოაღნიშნული დავალიანება სრულად იქნა გადავადებული.

ანგარიშგების თარიღიდან პირველი ორი თვის განმავლობაში, კონტრაგენტმა დამატებით გადაიხდა 6,040 ათასი ლარი. კომპანია და უცხოური კომპანია შეთანხმდნენ დავალიანების თანხის გადახდის შესწორებულ პირობებზე. პირველი გადახდის ვადა იყო 2018 წლის 31 მაისი. 2018 წლის 2 ივნისს კონტრაგენტმა განახორციელა პირველი გადახდა 200 ათასი აშშ დოლარი. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, კომპანია დავალიანების ამოღებას ელოდება 2018 წლის ბოლოს და ამიტომ კომპანია არ ახორციელებს დავალიანების ნაშთის რეზერვს 2017 წლის 31 დეკემბერს.

კომპანიის საკრედიტო და სავალუტო რისკები და გაუფასურების ზარალი სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით, წარმოდგენილია 14 შენიშვნაში.

14. სამართლიანი ღირებულებები და რისკის შეფასება

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, ზემოხსენებული ინსტრუმენტების უმეტესობის მოკლევადიანობის გამო, მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი ;
- ლიკვიდურობის რისკი ;
- საბაზრო რისკი.

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის განსაზღვრის და კონტროლის პასუხისმგებლობა.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განისაზღვრა კომპანიის წინაშე არსებული რისკების დადგენის და ანალიზის, რისკების შესაბამისი ლიმიტების და კონტროლის დადგენის, რისკების მინიჭორინგისა

და ლიმიტების დაცვის მიზნით. კომპანიის საქმიანობების და საბაზრო პირობების ცვლილებების ასახვის მიზნით, რეგულარულად ხდება რისკების მართვის პოლიტიკის და სისტემების გადახედვა. კომპანია, სასწავლო და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების საშუალებით, მიზნად ისახავს შექმნას დისციპლინირებული და კონსტრუქციული მართვის გარემო, სადაც ყველა თანამშრომელს ექნება გაცნობიერებული თავისი ფუნქციები და ვალდებულებები.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო აკონტროლებს როგორც ახორციელებს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პროცედურების დაცვის მონიტორინგს და განიხილავს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას კომპანიის რისკებთან დაკავშირებით.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ან ფინანსური ინსტრუმენტის მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ქვემოთ ცხრილში მითითებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა.

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2017	2016
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 10)	383	2,700
შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთი (მიკლევადიანი ემიტენტის რეიტინგი B, მინიჭებული Standard & Poor's-ის მიერ)	15,555	10,590
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	23,576	6,708
	33,514	19,998

შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთი

საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების გარანტიის მიზნით შეზღუდული ნაშთი წარმოდგენილია მშობელი კომპანიის საბანკო ანგარიშზე, სს საქართველოს რკინიგზასთან გაფორმებული ტვირთის ტრანსპორტირების ხელშეკრულების შესაბამისად (იხილეთ შენიშვნა 15).

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

ჯგუფის საკრედიტო რისკის დონეზე ძირითადად გავლენას ახდენს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები. თუმცა ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ დარგისა და ქვეყნებისთვის დამახასიათებელ დეფოლტის რისკზე, რომლებშიც კლიენტები აწარმოებენ საქმიანობას, კერძოდ ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების პირობებში. 2017 წლის განმავლობაში, კომპანიის შემოსავლების დაახლოებით 53% (2016: 84%) უკავშირდება სავაჭრო ოპერაციებს კომპანიის ორ მსხვილ კლიენტთან.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება ტვირთის გადამზიდი კლიენტებისგან წინასწარი გადახდების განხორციელების მოთხოვნის საფუძველზე. კომპანიის სავაჭრო დებიტორული დავალიანებები ძირითადად მოიცავს დავალიანებებს უცხოური კომპანიებიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ ლოგისტიკურ და ნავთობის მოწოდების მომსახურებებს. აღნიშნულ დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვა ხდება დებიტორული დავალიანების ნაშთების ყოველთვიური მონიტორინგის და ვალის დაუყოვნებლივ დაფარვის მოთხოვნის გზით, როდესაც ნაშთი მიაღწევს თითოეული ინდივიდუალური კონტრაგენტისთვის დადგენილ კონკრეტულ ლიმიტებს.

კომპანიის კლიენტების 90%-ზე მეტი კომპანიასთან თანამშრომლობს მისი დაფუძნების დღიდან და ზარალი წარმოიშობა იშვიათად. კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს კლიენტები დაჯგუფებულია მათი საკრედიტო მახასიათებლების, მათ შორის ხანდაზმულობის პროფილის, ვადის და წინა ფინანსური სირთულეების არსებობის შესაბამისად.

ზოგადად სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით უზრუნველყოფა არ მოითხოვება.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება, კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვან კლიენტთან დაკავშირებით, შეადგენს 21,256 ათას ლარს, 2017 წლის 31 დეკემბერს (2016 წ: 6,446 ათასი).

გაუფასურების ზარალი

ანგარიშგების თარიღისთვის სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ხანდაზმულობა შეადგენდა შემდეგს:

'000 ლარი	მთლიანი 2017	გაუფასურება 2017	მთლიანი 2016	გაუფასურება 2016
არა ვადაგადაცილებული	2,320	-	6,708	-
ვადაგადაცილებული 0- 90 დღე	21,256	-	-	-
ვადაგადაცილებული 91-365 დღე	4,114	4,114	-	-
ვადაგადაცილებული ერთ წელზე მეტი ვადით	-	-	-	-
	27,690	4,114	6,708	-

დინამიკა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად :

'000 ლარი	2017	2016
ნაშთი წლის განმავლობაში	-	-
ზრდა წლის განმავლობაში	4,114	-
ნაშთი წლის ბოლოს	4,114	-

2017 წელს კომპანიამ აღიარა გაუფასურების ზარალი 4,114 ათასი ლარის ოდენობით ერთი კონტრაგენტიდან, რომელიც წარმოიშვა 2017 წელს. კომპანია თვლის, რომ წარმოშობის თარიღისთვის არსებობდა ალბათობა, რომ კომპანია მიიღებდა ეკონომიკურ სარგებელს. შესაბამისი შემოსავალი შეტანილია 2017 წლის სატვირთო გადაზიდვების შემოსავალში. .

არსებითი ვადაგადაცილებული ნაშთი (21,256 ლარი) დაკავშირებული რეზერვის გარეშე, დაკავშირებულია მხოლოდ დებიტორულ დავალიანებასთან UPT-გან (იხილეთ შენიშვნა 13).

რეზერვის ანგარიში, სავაჭრო დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით, გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის, სანამ დაფარვის ყველა შესაძლებლობა არ ამოიწურება; ასეთ შემთხვევაში აღნიშნული თანხები ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსური აქტივის ანგარიშზე.

წინა მონაცემების საფუძველზე ჯგუფს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულის გარდა, გაუფასურების რეზერვი არ არის საჭირო სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით..

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას შეექმნება სირთულეები თავისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას, რომელთა ანგარიშსწორებაც ხდება ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით ითვალისწინებს შემდგომი დაგეგმვით იმის უზრუნველყოფას, რომ კომპანიას ყოველთვის ჰქონდეს თავისი ვალდებულებების დასაფარად სათანადო ლიკვიდური სახსრები, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ სიტუაციებში, მიუღებელი ზარალის დაშვების და კომპანიის რეპუტაციის რისკქვეშ დაყენების გარეშე.

კომპანია ირწმუნება, რომ აქვს საკმარისი ფულადი სახსრები იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში დაფაროს მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯები სამი თვის განმავლობაში, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურებები; ეს გამორიცხავს საგანგებო გარემოებების შესაძლო ზემოქმედებას, რომლის წინასწარ პროგნოზირება შეუძლებელია, როგორიცაა სტიქიური უბედურებები.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო საბოლოო ვადა ანგარიშგების თარიღისთვის. თანხები არის მთლიანი და არადისკონტირებული და მოიცავს შეფასებული პროცენტის გადახდებს და არ მოიცავს ურთიერთჩათვლის ხელშეკრულებებს.

კომპანია ლიკვიდურობის რისკის მართვაში იყენებს დაფარვის ვადების ცხრილებს. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კონტრაქტის მიხედვით გადახდილი უნდა იქნას ანგარიშგების თარიღიდან, კერძოდ 2017 წლის 31 დეკემბრიდან, ექვსი თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსური ვალდებულებებიდან ფულადი სახსრების გადინების ვადა არ აღემატება ერთ წელს.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლილებები საბაზრო ფასებში, როგორცაა გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის კურსი, გავლენას ახდენს კომპანიის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მოცულობის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, შემოსავლის ოპტიმიზების გზით.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს გაყიდვების, შესყიდვების ოპერაციების წარმოებასთან, შეზღუდულ ნაშთან და სესხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის დენომინირებული ლარში. აღნიშნული ოპერაციები ძირითადად დენომინირებულია აშშ დოლარში.

სავალუტო რისკის ფარგლები

კომპანიის დაქვემდებარებულობა სავალუტო რისკის მიმართ იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ- დენომინირებული 2017	აშშ - დენომინირებული 2016
ფული და ფულის ექვივალენტები	103	2,656
შეზღუდული ნაშთი	15,555	10,590
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	23,576	6,698
სესხები და კრედიტები	-	(4,810)
ნეტო მოცულობა	39,234	15,134

წლის განმავლობაში მოქმედი მნიშვნელოვანი სავალუტო კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		ანგარიშგების თარიღის სპოტ კურსი	
	2017	2016	2017	2016
1 აშშ დოლარი	2.5086	2.3667	2.5922	2.6468

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, აშშ დოლარის მიმართ 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს აშშ დოლარში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგება/ზარალზე დაბეგვრამდე, ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. ანალიზის შესაბამისად ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებელი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი რჩება.

'000 ლარი	მოგება ან (ზარალი)
31 დეკემბერი 2017	
აშშ დოლარი (10% შესუსტება)	(3,923)
31 დეკემბერი 2016	
აშშ დოლარი (10% შესუსტება)	(1,513)

ლარის შესუსტებას აშშ დოლართან მიმართებით 2017 წლის 31 დეკემბერს და 2016 წლის 31 დეკემბერს ექნებოდა თანაბარი, მაგრამ საწინააღმდეგო ეფექტი ზემოაღნიშნულ სავალუტო მოცულობებზე, იმ პირობით, თუ ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებელი უცვლელი დარჩება.

(v) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები ძირითადად გავლენას ახდენს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებული განაკვეთის ვალი) ან სამომავლო ფულადი ნაკადების

(ცვალებადი განაკვეთის ვალი) ცვლილების საფუძველზე. ხელმძღვანელობას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს რა მოცულობით უნდა განაწილდეს კომპანიის რისკი ფიქსირებული ან ცვლადი საპროცენტო განაკვეთების მქონე სესხებში. თუმცა ახალი სესხის ან ახალი კრედიტის აღებისას, ხელმძღვანელობა გადაწყვეტს იქნება თუ არა ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთი უფრო ხელსაყრელი კომპანიისთვის მოსალოდნელ პერიოდში - დაფარვამდე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არსებობდა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხები და კრედიტები არის მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტი.

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით

კომპანია არ ასახავს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს, სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ან როგორც გასაყიდად არსებულს. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთების ცვლილებას ანგარიშგების თარიღისთვის არ ექნებოდა გავლენა მოგებაში ან ზარალში ან კაპიტალში.

15. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები

(ა) დაბეგვრასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალურ დოკუმენტებში და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოებს არ შეუძლიათ დამატებითი გადასახადების, ჯარიმების ან საურავების გადახდის ვალდებულებების დაკისრება თუ იმ წლის დასრულებიდან, როდესაც ასეთი დარღვევა მოხდა, სამი წელია გასული.

ზემოხსენებულმა გარემოებებმა შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები, რომლებსაც საქართველოში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური დოკუმენტების და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავებული იყოს და გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუ აღნიშნული ორგანოები წარმატებით დაასაბუთებენ თავიანთ პოზიციას, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

(ბ) სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში კომპანია არის სამართალწარმოების, სასამართლო პროცესებისა და საჩივრების მხარე. ხელმძღვანელობა თვლის, რომ აღნიშნული სამართალწარმოებიდან ან საჩივრებიდან წარმოშობილი საბოლოო ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არსებითად უარყოფით გავლენას არ მოახდენს ფინანსურ მდგომარეობაზე ანუ მომავალი ოპერაციების შედეგებზე..

(გ) სახელშეკრულებო ვალდებულებები

2017 წლის 15 სექტემბერს შპს GR Transit-მა სს საქართველოს რკინიგზასთან გააფორმა სატვირთო გადაზიდვების ხელშეკრულება ("FTA"). FTA- ს მიხედვით, 2018 წლის 16 სექტემბრისთვის კომპანიამ უნდა უზრუნველყოს 3,200,000 ტონა თხევადი ტვირთის გადაზიდვა. შეთანხმების დღიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე კომპანიამ უზრუნველყო დაახლოებით 688,171 (2016 : 922,107) ტონა თხევადი ტვირთის სატვირთო საექსპედიტორო მომსახურება.

სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების საგარანტიოდ, შეზღუდული ნაშთის (შენიშვნა 14 (ბ) (ii)) გარდა, კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს დამატებით შეზღუდული ფულადი სახსრები / გარანტიები 4,650 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას შეეძლება შეასრულოს საკონტრაქტო ვალდებულება FTA- ს შესაბამისად.

16. დაკავშირებული მხარეები

(ა) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო და საბოლოო მშობელი კომპანია არის სს საქართველოს რკინიგზა და სს საპარტნიორო ფონდი. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის საქართველოს მთავრობა.

სს საპარტნიორო ფონდი წარმოადგენს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს.

(ბ) ოპერაციები მთავარ მმართველ პერსონალთან

(i) მმართველი პერსონალის ანაზღაურება

მმართველმა პერსონალმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შეტანილია თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯებში: :

'000 ლარი	2017	2016
ხელფასები და პრემიები	490	570

(გ) სხვა დაკავშირებული მხარის ოპერაციები

(i) ოპერაციები მთავრობასთან

კომპანია აწარმოებს ყოველდღიურ ოპერაციებს იმ საწარმოებთან, რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან მოიაზრება საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. კომპანიამ აირჩია გამონაკლისის გამოყენება ბასს (IAS) 24-ში - ინფორმაციის გამჟღავნება დაკავშირებული მხარის შესახებ -, რომელიც ითვალისწინებს დაკავშირებული მხარის შესახებ შეზღუდული ინფორმაციის წარდგენას, მთავრობასთან ასოცირებულ საწარმოებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით.

(ii) ტვირთის გადაზიდვის, ტვირთის ტრანსპორტირების და სადგურის მომსახურებები

2017 წლის განმავლობაში, კომპანიამ შეიძინა ტვირთის ტრანსპორტირების და სადგურის მომსახურებები სს საქართველოს რკინიგზიდან (იხილეთ შენიშვნა 15 (გ)), რომელიც შეადგენდა 63,877 ათას ლარს (2016: 83,264 ათასი ლარი).

2017 წლის განმავლობაში, კომპანიამ ტვირთის გადაზიდვის მომსახურება გაუწია დაკავშირებული მხარის საწარმოს, რომელიც შეადგენდა დაახლოებით 379 ათას ლარს (2016: 2,700 ათასი ლარი).

ხელმძღვანელობის შეფასებით დაკავშირებული ნაშთების მთლიანი ოდენობა მთავრობასთან ასოცირებულ სხვა საწარმოებთან არ არის მნიშვნელოვანი.

(iii) სხვა დაკავშირებული მხარის ოპერაციები

'000 ლარი	ოპერაციის ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში		დავალიანების ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	2017	2016	2017	2016
სესხები და კრედიტები *				
მშობელი კომპანია	4,871	3,969	-	4,810
შეზღუდული ნაშთი				
მშობელი კომპანია	4,965	9,329	15,555	10,590

* მშობელი კომპანიიდან აღებული სესხები და კრედიტები დენომინირებულია აშშ დოლარში და საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10%-ს. სესხის ნაშთი მშობელი კომპანიიდან სრულად იქნა დაფარული 2017 წელს.

ვალდებულება მშობელ კომპანიასთან, მათ შორის დაკავშირებული უზრუნველყოფა, წარმოდგენილია შენიშვნაში 15(გ).

2017 წლის განმავლობაში, საპროცენტო ხარჯი, რომელიც შეადგენს 408 ათას ლარს (2016: GE 266) აღიარებულ იქნა მოგებაში და ზარალში მშობელი კომპანიის სესხთან დაკავშირებით.

ფულად ნაკადებთან ვალდებულებების მოძრაობის შესაბამისობაში მოყვანა, რომელიც წარმოიქმნა ფინანსური საქმიანობებიდან

ფინანსური საქმიანობები

ლარი სესხები და კრედიტები	ფულადი			ფულადი	ფულადი	უცხოური	31 დეკემბერი 2017
	1 იანვარი 2017	ფულადი სახსრების დარიცხული მოდინება	პროცენტი (პროცენტი)	გადინება (მირითადი)	გადინება (პროცენტი)	ვალუტით ოპერაციის ზარალი	
	4,810	-	408	(4,871)	(451)	104	-

17. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა თავდაპირველი ღირებულების საფუძველზე.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება თანმიმდევრულად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან დაკავშირებით.

(ა) შემოსავალი

(i) ტვირთის გადაზიდვის საქმიანობები

შემოსავალი ტვირთის გადაზიდვიდან ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. ტვირთის გადაზიდვიდან შემოსავალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში შესრულებული მომსახურების პროცენტის მეთოდის შესაბამისად, თავდაპირველი ადგილმდებარეობიდან საბოლოო დანიშნულების ადგილზე ტვირთის გადაადგილების სატრანსპორტო დროის საფუძველზე.

(ბ) სხვა ხარჯი

(i) საიჯარო გადახდები

საოპერაციო იჯარების შესაბამისად განხორციელებული გადახდები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადაში.

(გ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალ საბანკო დეპოზიტებზე;
- საპროცენტო ხარჯს ფინანსურ ვალდებულებებზე;
- საკურსო სხვაობის მოგება ან ზარალი ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

(დ) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში, ოპერაციების თარიღებისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები, ანგარიშგების თარიღისთვის, გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. ფულად ერთეულებზე საკურსო სხვაობის მოგება ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისისთვის ფუნქციონალურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია მოქმედი საპროცენტო განაკვეთის და გადახდების მიხედვით პერიოდის დასაწყისში და ამორტიზირებულ ღირებულებას შორის უცხოურ ვალუტაში, რომელიც კონვერტირდება ანგარიშგების პერიოდის დასასრულს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით.

არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც ფასდება თავდაპირველი ღირებულების საფუძველზე, კონვერტირდება ოპერაციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

კონვერტირებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

(ე) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. ის აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის დაკავშირებულია ბიზნესის გაერთიანებასთან ან კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში უშუალოდ აღირებულ ერთეულებთან.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას ან მიღებას დასაბეგრ მოგებაზე ან ზარალზე წლის განმავლობაში, ანგარიშგების თარიღისთვის დადგენილი ან არსებითად დადგენილი საგადასახადო განაკვეთით, და ასევე ყველა მოგების გადასახადის კორექტირება წინა წლებთან დაკავშირებით. მიმდინარე გადასახადი აგრეთვე მოიცავს ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას, რომლებიც წარმოიშობა დივიდენდებიდან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდისთვის ყველა საწარმოს მიმართ, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთა მიმართაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს კორპორატიული მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, არამედ კორპორატიული მოგების გადასახადის დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე, ანუ ძირითად საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერების / პარტნიორების მიმართ დივიდენდების სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა ზოგიერთი სხვა ოპერაცია აგრეთვე ჩაითვლება განაწილებულ მოგებად, მაგალითად, არასაბაზრო ტრანსსაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადებისგან გათავისუფლებულ პირთან აგრეთვე განიხილება განაწილებული მოგებად კორპორატიული მოგების გადასახადის მიზნებისთვის. გარდა ამისა, საგადასახადო ობიექტი ითვალისწინებს ხარჯსა და სხვა გადახდებს, რომელიც არ არის დაკავშირებული საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან, უფასო მიწოდებასთან და ლიმიტზე გადაჭარბებულ წარმომადგენლობით ხარჯებთან.

დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი კორპორატიული მოგების გადასახადი ფასდება როგორც ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, როდესაც მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს კორპორატიული მოგების გადასახადის დარიცხვას კონკრეტულ ოპერაციებზე, რომელიც არ არის დაკავშირებული საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან, უფასო მიწოდებასთან და ლიმიტზე გადაჭარბებულ წარმომადგენლობით ხარჯებთან. კომპანია თვლის, რომ ასეთი ოპერაციის დაბეგვრა სცილდება ბასს 12-ის - *მოგების გადასახადები* - ფარგლებს და აღნიშნულ გადასახადს ასეთ ერთეულებზე მიიჩნევს გადასახადებად, მხოლოდ არა მოგებაზე.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის არსიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ გააჩნიათ განსხვავება აქტივების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის და აღნიშნულიდან გამომდინარე, არ წარმოიშობა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები.

წინა პერიოდებში დარიცხული საგადასახადო ზარალი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მომავალ დაბეგვრად მოგებასთან მიმართებით.

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შემდეგ კატეგორიებში: სესხები და კრედიტორული დავალიანებები და ფული და ფულის ექვივალენტები.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები – აღიარება და აღიარების შეწყვეტა

კომპანია თავდაპირველად აღიარებს სესხებსა და დებიტორულ დავალიანებებს, მათი წარმოშობის დღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარება ხდება თავდაპირველად გარიგების დღისთვის, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

კომპანია არ აღიარებს ფინანსურ აქტივებს მას შემდეგ, რაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლებები ფულად ნაკადებზე აქტივებიდან, ან იგი გადასცემს ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით იმ გარიგებაში, რომელშიც ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკისა და ანაზღაურების გადაცემა ხდება. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც იქმნება ან იწარმოება კომპანიის მიერ, აღიარებულია ცალკე აქტივად ან ვალდებულებად.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს აღიარებული თანხების ჩათვლის იურიდიული უფლება და სურს მოახდინოს ანგარიშსწორება ნეტო საფუძველზე ან მოახდინოს აქტივების რეალიზება და ვალდებულებების დაფარვა ერთდროულად. კომპანიას გააჩნია ჩათვლის იურიდიული უფლება იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლება არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენებზე და განხორციელებადია საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში და კომპანიის და ყველა კონტრაგენტის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

სესხები და დებიტორული დავალიანებები

სესხები და დებიტორული დავალიანებები წარმოადგენს ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდების მქონე ფინანსური აქტივების კატეგორიას, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული აქტივების პირველადი აღიარება ხდება მისი სამართლიანი ღირებულებით პლუს ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველად აღიარების შემდეგ სესხები და დებიტორული დავალიანებები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების ზარალი.

სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში წარმოდგენილია სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, შეზღუდული ნაშთი და ფული და ფულის ექვივალენტები.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს.

შეზღუდული ნაშთი

შეზღუდული ნაშთი მოიცავს ნაშთებს მშობელი კომპანიის ანგარიშზე.

(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულების კატეგორიაში. ასეთი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით მინუს ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და კრედიტებს, სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებებს და სხვა მიმდინარე ვალდებულებებს.

(iii) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი.

(ზ) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ფასდება თითოეულ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ ზარალის შემთხვევა დადგა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, და რომ ზარალის დადგომა უარყოფით გავლენას ახდენს აქტივის შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა მოცულობის შეფასება შესაძლებელია სათანადოდ.

ფინანსური აქტივების გაუფასურების დამადასტურებელი ობიექტური მტკიცებულებები მოიცავს შემდეგს:

- გადაუხდელობა ან ვალდებულების შეუსრულებლობა მოვალის მიერ;
- კომპანიისთვის გადასახდელი თანხის რესტრუქტურისა იმ პირობებით, რომელსაც სხვაგვარად კომპანია არ განიხილავდა;
- მინიშნებები მოვალის გაკოტრების შესახებ;
- უარყოფითი ცვლილებები მსესხებლის გადახდის სტატუსში კომპანიაში;
- ცუდი საბაზრო კონიუნქტურა; ან
- არსებული მონაცემები, რომლებიც მიუთითებს კომპანიიდან ფინანსური აქტივების მომავალი ფულადი ნაკადების შემცირებას.

კომპანია აფასებს გაუფასურების ნიშნებს სესხებთან და დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით, როგორც ინდივიდუალური აქტივის, ასევე აქტივების ჯგუფის დონეზე. ყოველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხი და დებიტორული დავალიანება შეფასდება კონკრეტულ გაუფასურებასთან დაკავშირებით. ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დებიტორული დავალიანება, რომელიც არ ჩაითვლება გაუფასურებულად, შეფასდება კოლექტიურად გაუფასურებასთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა, მაგრამ არ არის ჯერ დადგენილი. სესხები და დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი, შეფასდება კოლექტიურად გაუფასურებასთან დაკავშირებით მსგავსი რისკის მახასიათებლების მქონე სესხების და დებიტორული დავალიანებების ერთად დაჯგუფების გზით.

კოლექტიური გაუფასურების შეფასებისას კომპანია იყენებს დეფოლტის ალბათობის, დაფარვის ვადების და გაწეული ზარალის მოცულობის ისტორიულ მონაცემებს, რომელიც კორექტირებულია მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო პირობების ხელმძღვანელობის მიერ შეფასების

გათვალისწინებით, რომელთა შედეგად ფაქტობრივი ზარალი შესაძლოა აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს იმ მაჩვენებლებზე, რომლებიც შესაძლოა მოსალოდნელი იყოს ისტორიული ტენდენციებიდან გამომდინარე.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალი გამოითვლება როგორც სხვაობა მის საბალანსო ღირებულებასა და აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება რეზერვის სახით სესხებთან და დებიტორულ დავალიანებებთან მიმართებით. გაუფასურებულ აქტივზე დარიცხული პროცენტის აღიარება გრძელდება „დისკონტის გამოთავისუფლებით“. თუ შემდგომი შემთხვევა გამოიწვევს გაუფასურების ზარალის თანხის შემცირებას, გაუფასურების ზარალის შემცირება შეზღუდულია მოგებაში ან ზარალში.

(თ) თანამშრომელთა ანაზღაურება

თანამშრომლების მოკლევადიანი ანაზღაურების ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებად საფუძველზე და შედის ხარჯებში გაწეული მომსახურებების შესაბამისად.

ვალდებულება აღიარებულია იმ მოცულობით, რომელიც გადაიხდება მოკლევადიანი ფულადი პრემიების ან მოგებაში მონაწილეობის გეგმების ფარგლებში იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს აღნიშნული თანხა თანამშრომლის მიერ გაწეული მომსახურების შედეგად, და შესაძლებელია ასეთი ვალდებულების სათანადო შეფასება.

(ი) რეზერვები

რეზერვი აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წინა მოვლენის შედეგად, კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის ოდენობა შეიძლება სათანადოდ შეფასდეს, და არსებობს იმის ალბათობა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებელის გადინება. რეზერვები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით დაბეგრამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების და ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას. დისკონტის გამოთავისუფლება აღიარებულია, როგორც ფინანსური ხარჯი.

19. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული

(ა) ფასს 9 და ფასს 15 მიღების შეფასებული შედეგი

კომპანიას მოეთხოვება ფასს 9 - *ფინანსური ინსტრუმენტები* - და ფასს 15 - *შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან* - მიიღოს 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიამ შეაფასა და განსაზღვრა, რომ ფასს 9 -ის და ფასს 15-ის თავდაპირველი მიღება არსებით გავლენას არ მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. აღნიშნული სტანდარტების მიღების შედეგი კომპანიის კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ეფუძნება დღემდე განხორციელებულ წინასწარ შეფასებებს.

(ბ) ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

2014 წლის ივლისში გამოქვეყნებული ფასს 9 ცვლის არსებულ სახელმძღვანელო მითითებებს ბასს 39-ში *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*. ფასს 9 მოიცავს განახლებულ სახელმძღვანელო მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების გამოსაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ ზოგად მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ასევე ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების და აღიარების შეწყვეტის წესების გადატანას ბასს 39-იდან. ფასს 9 ძალაშია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან, დაშვებულია ვადამდე მიღება.

(გ) ფასს 15 შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის მოხდა მისი აღიარება. სტანდარტი ცვლის არსებულ სახელმძღვანელო მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18: *შემოსავალი*, ბასს 11: *სამშენებლო ხელშეკრულებები* და ფასს 13: *კლიენტების ლოიალურობის პროგრამები*. ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი ითვალისწინებს, რომ საწარმო აღიარებს შემოსავალს მომხმარებლისთვის შეპირებული საქონლის ან მომსახურებების გადაცემის ასახვის მიზნით, იმ ოდენობით, რომლის მიღების უფლებამოსილება ექნება საწარმოს აღნიშნული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ. ახალი სტანდარტი მოითხოვს მეტი ინფორმაციის გამჟღავნებას შემოსავლების შესახებ, ითვალისწინებს სახელმძღვანელო მითითებებს იმ ოპერაციების შესახებ, რომლებიც მანამდე სრულყოფილად არ იყო განსაზღვრული და აუმაჯობებს სახელმძღვანელო მითითებას მრავალ-ელემენტთან შეთანხმებებზე. ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლის ათვლა იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ, ვადამდე მიღების უფლებით.

(დ) ფასს 16 იჯარები

ფასს 16 ცვლის არსებული იჯარების დირექტივას, მათ შორის ბასს 17-ს - *იჯარები*, ფასს 4-ს - *ხელშეკრულებაში იჯარის არსებობის განსაზღვრის წესი*, იმკ (SIC) 15-ს - *საოპერაციო იჯარები - სტიმულები* და იმკ (SIC) 27-ს - *ოპერაციის არსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის იურიდიულ ფორმას*.

ეს სტანდარტი ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს. მისი ვადაზე ადრე მიღება დასაშვებია იმ საწარმოებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 15-ს, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების დღეს ან ან თარიღამდე.

ფასს 16 წარმოადგენს ერთიან, ბალანსზე ასახული იჯარის აღრიცხვის მოდელს მოიჯარეებისთვის. მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლების სახით, რომელიც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს შესაბამისი აქტივით და საიჯარო ვალდებულებით, რაც გულისხმობს მის მიერ იჯარის გადასახადების გადახდის ვალდებულებას. არსებობს გამონაკლისები - მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა. მეიჯარის აღრიცხვის წესი მოქმედი სტანდარტის ანალოგიურია - ანუ მეიჯარეები განაგრძობენ იჯარის კლასიფიკაციას საფინანსო ან საოპერაციო იჯარების სახით.

კომპანია აფასებს პოტენციურ გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე, რაც გამოწვეული იქნება ფასს 16-ის გამოყენებით. ფასს 16-ის გამოყენების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე თავდაპირველი გამოყენების პერიოდში დამოკიდებული იქნება მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, მათ შორის კომპანიის სასესხო განაკვეთზე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის პორტფელის შემადგენლობაზე აღნიშნული თარიღისთვის, კომპანიის ბოლო შეფასებაზე მასზედ, გამოიყენებს თუ არა იჯარის განახლების ოფციონებს და რა ფარგლებში გამოიყენებს კომპანია პრაქტიკულ საშუალებებს და აღიარების გამონაკლისებს.




As part of an audit in accordance with ISAs, we exercise professional judgment and maintain professional scepticism throughout the audit. We also:

- Identify and assess the risks of material misstatement of the financial statements, whether due to fraud or error, design and perform audit procedures responsive to those risks, and obtain audit evidence that is sufficient and appropriate to provide a basis for our opinion. The risk of not detecting a material misstatement resulting from fraud is higher than for one resulting from error, as fraud may involve collusion, forgery, intentional omissions, misrepresentations, or the override of internal control.
- Obtain an understanding of internal control relevant to the audit in order to design audit procedures that are appropriate in the circumstances, but not for the purpose of expressing an opinion on the effectiveness of the Company's internal control.
- Evaluate the appropriateness of accounting policies used and the reasonableness of accounting estimates and related disclosures made by management.
- Conclude on the appropriateness of management's use of the going concern basis of accounting and, based on the audit evidence obtained, whether a material uncertainty exists related to events or conditions that may cast significant doubt on the Company's ability to continue as a going concern. If we conclude that a material uncertainty exists, we are required to draw attention in our auditors' report to the related disclosures in the financial statements or, if such disclosures are inadequate, to modify our opinion. Our conclusions are based on the audit evidence obtained up to the date of our auditors' report. However, future events or conditions may cause the Company to cease to continue as a going concern.
- Evaluate the overall presentation, structure and content of the financial statements, including the disclosures, and whether the financial statements represent the underlying transactions and events in a manner that achieves fair presentation.

We communicate with those charged with governance regarding, among other matters, the planned scope and timing of the audit and significant audit findings, including any significant deficiencies in internal control that we identify during our audit.

The engagement partner on the audit resulting in this independent auditors' report is:

Andrew Coxshall



KPMG Georgia LLC
6 August 2018



GR Transit LLC
Statement of Profit or Loss and Other Comprehensive Income for 2017

'000 GEL	Note	2017	2016
Revenue	5	104,298	104,140
Operating costs	6	(70,170)	(93,180)
Employee benefits expense		(2,256)	(1,995)
Other income		339	210
Other expenses	7	(1,648)	(1,504)
Results from operating activities		30,563	7,671
Finance income		38	772
Finance cost		(4,584)	(266)
Net finance (cost)/income	8	(4,546)	506
Profit before income tax		26,017	8,177
Income tax expense	9	-	(1,277)
Profit and total comprehensive income for the year		26,017	6,900

These financial statements were approved by Management on 6 August 2018 and were signed on its behalf by:



David Chiradze
General Director



Iana Alughishvili
Chief Accountant

საქართველო
სანოტარო აქტი


ორიათასთვრამეტი წლის შვიდ ნოემბერს მე, ნოტარიუსი, ნინო მასხულია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12, გამოწმებ მთარგმნელის, ქალბატონი *მზია თულიანის* ხელმოწერის სინამდვილეს, ოცდახუთ გვერდზე, სამ ცალად, რომელმაც ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა შპს „ჯიარ ტრანზიტი“-ს 2017 წლის ფინანსური ანგარიშგება, ხელმოწერილი საზოგადოების გენერალური დირექტორის, ბატონი დავით ჩირაძისა და მთავარი ბუღალტრის, ქალბატონი იანა ალუდიშვილის მიერ, დამოუკიდებელი აუდიტორის, შპს KPMG Georgia-ს სახელით, ენდრიუ კოქსშელის დასკვნასთან ერთად.

ქალბატონი მზია თულიანი, დაბადებული 1952 წლის 17 აპრილს თბილისში, პირადი N01009023304, რეგისტრირებული ქ.თბილისში, ო.დგებუაძის ქუჩა N1, ბინა 236, პროფესიით არის ინგლისური ენის სპეციალისტი, რაც დასტურდება, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ 1974 წლის 17 ივლისს გაცემული დიპლომით Я N176788.

მთარგმნელი გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს.

გადახდილია 179,00 ლარი - აქედან: საზღაური 150,00 ლარი ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31.3. მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 27,00 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი:



ნინო მასხულია

შპს ჯიარ ტრანზიტი

2017 წლის მმართველობითი ანგარიშგება

სარჩევი

კომპანიის შესახებ.....	3
პერსონალი და მმართველობითი სტრუქტურა	3
ფინანსური შედეგების ანალიზი	4
კომპანიის წინაშე არსებული რისკების და გეგმიდან გადახრების ანალიზი	7
კომპანიის სტრატეგია და მიზნები.....	8
კანონმდებლობა და რეგულაციები	9

კომპანიის შესახებ

შპს ჯიარ ტრანზიტი (შემდეგში „კომპანია“) არის სს საქართველოს რკინიგზის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანია, რომელიც ახორციელებს ნედლი ნავთობის და ნავთობპროდუქტების გადაზიდვას რკინიგზის საშუალებით საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანიდან (გარდაბნის სადგური) ბათუმის, ფოთის და ფართო წყალის სადგურების მიმართულებით. კომპანია წარმოადგენს უმსხვილეს გადამზიდავ კომპანიას დღესდღეობით საქართველოში მოქმედი ნედლი ნავთობის და ნავთობპროდუქტების რკინიგზის საშუალებით გადამზიდი კომპანიებიდან.

კომპანიის მისიაა საქართველოში სატრანზიტო კორიდორის გაფართოება და თვითბრუნვის გაზრდა, ხარისხიანი და უწყვეტი მომსახურება. შპს ჯიარ ტრანზიტს გააჩნია პირდაპირი კონტრაქტები კლიენტებთან და ასევე მომსახურების ხელშეკრულებები სს საქართველოს რკინიგზასთან და შპს ქართულ სალოკომოტივო კომპანიასთან, რომელიც საშუალებას აძლევს მას, შესთავაზოს კლიენტს სწრაფი და უწყვეტი მომსახურება.

შპს ჯიარ ტრანზიტი კლიენტებს სთავაზობს საექსპედიტორო მომსახურების სრულ პაკეტს, რომელიც მოიცავს როგორც თვით უშუალოდ გადაზიდვას, ასევე მასთან დაკავშირებული თანმხლები მომსახურებების (ცარიელი ვაგონების უკან დაბრუნება, 24 საათზე მეტი მომსახურება გამგზავნ და მიმღებ სადგურებში, გადაზიდვასთან დაკავშირებული საბაჟო ჯარიმების ადმინისტრირება, ადგილობრივი სადგურების მომსახურება და ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა სერვისები).

პერსონალი და მმართველობითი სტრუქტურა

შპს ჯიარ ტრანზიტი თავის საქმიანობას ახორციელებს ქ.თბილისში, ქ.ბათუმში და ფართო წყალში არსებული ოფისების საშუალებით, რომლებიც დაკომპლექტებულია 55 კვალიფიცირებული თანამშრომლით. კომპანია მოიცავს საოპერაციო, ადმინისტრაციულ, იურიდიულ, ფინანსურ, ტარიფებისა და საჩივრების, კლიენტებთან ურთიერთობის, უსაფრთხოების, საბაჟო საკითხების და შესყიდვების დეპარტამენტებს, რომელთა მართვაც ხორციელდება ცენტრალიზებულად.

შპს ჯიარ ტრანზიტს ყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც აქტიურადაა ჩართული კომპანიის სტრატეგიის დაგეგმვის, ბიუჯეტირების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ანალიზის და მონიტორინგის საკითხებში. სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია სრული პასუხისმგებლობა კომპანიის წინასე არსებული რისკების ანალიზსა და მართვასთან დაკავშირებით.

ფინანსური შედეგების ანალიზი

შპს ჯიარ ტრანზიტი ყოველწლიურად ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. მისი მიზანია მომხმარებელთა ფართო წრისათვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი ცვლილებების, საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ქვემოთ მოცემულია აუდირებული ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, მოგება-ზარალის, საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 2016-2017 წლის შედეგებზე დაყრდნობით.

საბალანსო უწყისი


'000 ლარი	2017	2016
აქტივები		
სულ გრძელვადიანი აქტივები	96	110
სულ მიმდინარე აქტივები	41,993	24,587
მთლიანი აქტივები	42,089	24,697
ვალი		
კაპიტალი	40,041	14,024
ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები	2,048	10,673
სულ ვალდებულებები	2,048	10,673
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	42,089	24,697

2017 წელს გაფორმდა ხელშეკრულება შპს United Petroleum Trading-თან ერთი წლის განმავლობაში 1,200,000 ტონა ნედლი ნავთობისა და გაზის კონდენსატის მოცულობის მიუხედავად ფიქსირებული ტარიფით სარკინიგზო გზით ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით (Ship-or-Pay Agreement). 2017 წელს წინა წელთან შედარებით აქტივების გაზრდა ძირითადად გამოწვეულია ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	2017	2016
შემოსავალი	104,298	104,140
საოპერაციო ხარჯები	(70,170)	(93,180)
პერსონალის ანაზღაურება	(2,256)	(1,995)
სხვა შემოსავალი	339	210
სხვა ხარჯები	(1,648)	(1,504)
შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	30,563	7,671
შემოსავალი ფინანსური საქმიანობიდან	38	772
ფინანსური ხარჯი	(4,584)	(266)
სუფთა შემოსავალი (ხარჯი) ფინანსური საქმიანობიდან	(4,546)	506
მოგება დაბეგვრამდე	26,017	8,177
მოგების გადასახადი	-	(1,277)
სუფთა მოგება	26,017	6,900


შემოსავლების ძირითადი ნაწილი ფორმირდება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვისას გაწეული მომსახურების გაწევის შედეგად. გადაზიდული ტვირტის წარმოშობის ქვეყნებია ძირითად აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ყაზახეთი, რუსეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი. შემდეგი სურათი გამოხატავს ნავთობპროდუქტების წარმომავლობის სტრუქტურას ქვეყნების მიხედვით:



2017 წელს წინა წელთან შედარებით ადგილი ჰქონდა გადატვირთული ტვირტების გამომგზავნი ქვეყნების მიხედვით წილების თანაფარდობის შემდეგ ცვლილებებს: აზერბაიჯანის წილი შემცირდა 55%-დან 30% მდე, ყაზახეთის წილი გაიზარდა 21%-დან 59 %-მდე, ხოლო თურქმენეთის წილი შემცირდა 24% -დან 11%-მდე. ყაზახური წარმოშობის პროდუქტების წილის გაზრდა გამოწვეულია ყაზახური წარმოშობის

ვაკუუმური გაზოილის გადმომისამართებით აზერბაიჯანი-საქართველოს სარკინიგზო კორიდორის მიმართულებით, წინა წელს ეს ტვირთი მოძრაობდა ალტერნატიული მიმართულებით. ხოლო აზერბაიჯანული წარმოშობის ტვირთის წილების შემცირება ძირითადად განხორციელდა საწვავ-სათბობ ნედლეულზე აზერბაიჯანში ადგილობრივი მოთხოვნილების მკვეთრი გაზრდის მიზეზით.

ასევე, მოგაწვდით 2016-2017 წლებში გადაზიდული ტვირთების შესახებ ინფორმაციას.



2017 წლის შემოსავალში ჩართულია შპს United Petroleum Trading-თან დადებული ხელშეკრულების (Ship-or-Pay) საფუძველზე დარიცხული შემოსავლები.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

'000 ლარი	2017	2016
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	3,507	(4,595)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(18)	-
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(5,322)	5,703
ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	(1,833)	1,108
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები 1 იანვრისთვის	2,700	834
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(484)	758
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები 31 დეკემბრისთვის	383	2,700

საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადების გაზრდა 2017 წელს წინა წელთან შედარებით ძირითადად განპირობებულია შპს United Petroleum Trading-თან დადებული (Ship-or-Pay) ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი შემოძინებებით, ხოლო ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადების გადინება გამოიწვია 2016 წელს აღებული 1,8 მლნ აშშ დოლარის მოკლევადიანი სესხის ძირის დაფარვით 2017 წელს.

კომპანიის წინაშე არსებული რისკების და გეგმიდან გადახრების ანალიზი

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა მოიცავს მის წინაშე არსებული რისკების განსაზღვრას და გაანალიზებას, რისკის დასაშვები ზღვრული ოდენობის დადგენას და კონტროლს და მის შემდგომ მართვას და მონიტორინგს. მასში შემავალი კომპონენტების გათვალისწინებით შპს ჯიარ ტრანზიტს შემუშავებული აქვს საკუთარი რისკების მართვის სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია კომპანიის მიზნებთან და საქმიანობის სპეციფიკასთან.

რისკების მართვა ხორციელდება მთელი საწარმოს მასშტაბით მის ყველა სტრუქტურულ თუ ორგანიზაციულ დონეზე. მინიმუმამდეა დაყვანილი კომპანიის წინაშე არსებული საოპერაციო რისკები მისი ეფექტური მართვით და მუდმივი ტრეინინგების სისტემით და მონიტორინგით.

რაც შეეხება კომპანიის წინაშე არსებულ ფინანსურ რისკებს, 2017 წლის მონაცემებზე დაყრდნობით თვალსაჩინოა რომ კომპანიის შემოსავლები გაიზარდა მნიშვნელოვნად წინა წელთან შედარებით, რაც გამოწვეული ახალი კლიენტების მოზიდვით და კონკურენტუნარიანი ფასების შეთავაზებით კლიენტებისათვის. კომპანიის სატარიფო პოლიტიკა გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია ყველა არსებული თუ პოტენციური კლიენტისთვის და მიზნულია სს საქართველოს რკინიგზის ოფიციალურ სატარიფო პოლიტიკაზე, რომელიც ასევე გამჭვირვალე და საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ის გარემო, რომელშიც მოღვაწეობს შპს ჯორჯია ტრანზიტი, მოითხოვს, რომ კომპანიას გააჩნდეს არა მარტო ფინანსური სტაბილურობა, არამედ ლიკვიდურობაც. კომპანია სწორი ფინანსური ფუნქციების პროცესებით და მართვით უზრუნველყოფს, რომ მას ყოველთვის გააჩნდეს საკმარისი ფონდები, რათა შეძლოს თავის ვალდებულებების დაკმაყოფილება როგორც ყოველდღიურ ნორმალურ გარემოში, ასევე გაუთვალისწინებელი შემთხვევების და სტრესების პირობებშიც ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული მატერიალური ზარალი და ასევე მორალური ზიანი, რაც დააზიანებს მის რეპუტაციას.

კომპანიის წინაშე არსებული საბაზრო რისკები, რომლებიც დაკავშირებულია კურსის ცვალებადობასთან და საპროცენტო ხარჯებთან, ფაქტობრივად ნულის ტოლია, რადგანაც კომპანიის მთლიანი შემოსავლები და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პრიდაპირი დანახარჯები ნომინირებულია ერთ ვალუტაში, კერძოდ აშშ დოლარში. ასევე საწარმოს არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს გაყიდვების, შესყიდვების ოპერაციების წარმოებასთან, შეზღუდულ ნაშთთან და სესხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის დენომინირებული ლარში. აღნიშნული ოპერაციები ძირითადად დენომინირებულია აშშ დოლარში. სავალუტო რისკის ჯამური ოდენობა შეადგენდა 39,234 ათას ლარს და 15,134 ათას ლარს, 2017 და 2016 წლის ბოლოს (შესაბამისად).

კომპანიის საკრედიტო რისკი მოიცავს ფულის და ფულის ექვივალენტების, შეზღუდული ნაშთისა და სავაჭრო დავალიანების ბალანსებს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა შეადგენდა 33,514 ათას ლარს და 19,998 ათას ლარს, 2017 და 2016 წლის ბოლოს (შესაბამისად).

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპანიას აქვს საკმარისი ფულადი სახსრები იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში დაფაროს მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯები სამი თვის განმავლობაში, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურებები; ეს გამორიცხავს საგანგებო გარემოებების შესაძლო ზემოქმედებას, რომლის წინასწარ პროგნოზირება შეუძლებელია, როგორცაა სტიქიური უბედურებები.

კომპანიის სტრატეგია და მიზნები

კომპანიის გრძელვადიანი ხედვაა მაქსიმალურად ხელი შეუწყოს კასპია-შავი ზღვის სატრანსპორტო კორიდორის განვითარებას და გაფართოვებას და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებრივ-სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში. კორიდორისთვის ახალი ტვირთების მოზიდვით, ლოიალური კლიენტების შენარჩუნებითა და კლიენტებისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი და კომფორტული მომსახურების მიწოდებით მენეჯმენტი ცდილობს უზრუნველყოს სტაბილური შემოსავალი და შესაბამისად სარგებელი პარტნიორისა და საზოგადოებისათვის.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მენეჯმენტს გადამწყვეტ ფაქტორად კომპანიის მაღალი რეპუტაციის მუდმივი შენარჩუნება-გაზრდა და მაღალკომპეტენტური და გამოცდილი კადრების მიერ მომხმარებლებისთვის სტაბილური ხარისხის და მაქსიმალურად ხელსაყრელი მომსახურების მიწოდება მიაჩნია.

რაც შეეხება უახლოეს გეგმებს - რადგან შეინიშნება გაზრდილი მოთხოვნა ნავთობპროდუქტების გადაზიდვასთან დაკავშირებით შავი ზღვის ტერმინალებიდან აზერბაიჯანის მიმართულებით, კომპანიას გადაწყვეტილი აქვს გააფართოვოს მისი

მოქმედების არეალი და აღნიშნული მიმართულებით მომსახურების დამატება განიხილოს შემოსავლების გაზრდის ერთ-ერთ დამატებით წყაროდ.

კანონმდებლობა და რეგულაციები

შპს ჯიარ ტრანზიტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ხელმძღვანელობს სს „საქართველოს რკინიგზის“ სატარიფო პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც გამოქვეყნებულია სს „საქართველოს რკინიგზის“ ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ფართო აუდიტორიისთვის.

დავით ჩირაძე


დირექტორი

მოქმედების არეალი და აღნიშნული მიმართულებით მომსახურების დამატება განიხილოს შემოსავლების გაზრდის ერთ-ერთ დამატებით წყაროდ.

კანონმდებლობა და რეგულაციები

შპს ჯიარ ტრანზიტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ხელმძღვანელობს სს „საქართველოს რკინიგზის“ სატარიფო პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც გამოქვეყნებულია სს „საქართველოს რკინიგზის“ ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ფართო აუდიტორიისთვის.



დავით ჩირაძე

დირექტორი



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა, მე-5 სართული
თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, 0105
საქართველო
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

შპს ჯიარ ტრანზიტი
თამარ მეფის გამზირი N15

ჩვენი საცნობარო
ნომერი:

92/1/067/18

16/11/2018

მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2018 წლის 16 ნოემბერს გამოცემულ „მმართველობითი ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2018 წლის 16 ნოემბრით, გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორული დასკვნაში, 2018 წლის 6 აგვისტოს, არ ეხება მმართველობითი ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2018 წლის 6 აგვისტოს შემდეგ. მმართველობითი ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განსაზღვრავს, შესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვეცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

კარენ საფარიანი

აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი
შპს „KPMG Georgia“